საქ. ძეძარცხენე სოც.-დემ. სარეკ. პარტია

ტფილისი

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „სრიგუნა“ ღირს
თვითურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 75,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 250,000 მან. ფოსტარეკ.
4 „ 200,000 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 527 შაბათი, ივლისის 21 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 75,000

მსოფლიოს ყველა ხალხებს და მთავრობებს

საბჭოთა რესპუბლიკების არსებობის დღიდან, მათ აერთიანებდა მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთ შორის დახმარება, რამაც შემდეგ მიიღო საკავშირო ხელშეკრულებათა ფორმა. მუშათა და გლეხთა ხელისუფლება აერთიანებდა მათ ბრძოლის საერთო მოთხოვნილებით გარედან კაპიტალისტურ სახელმწიფოების და შიგნივ საბჭოთა წესწყობილებაზე კონტრ-რევოლიუციის თავდასხმის წინააღმდეგ. მშრომელთა სოლიდარობა აერთიანებდა მათ განთავისუფლებულ ხალხთა ძმური თანამშრომლობის განხორციელების საერთო ამოცანაში. ისინი ერთად გამოვიდენ ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლიუციიდან, რომელმაც დაამხო მემამულეთა და კაპიტალისტების ძალაუფლება. მათ ერთად განიცადეს ინტერვენციის და ბლოკადის მძიმე ისტორიული გაჭირვება და ძლევამოსილად გადაიტანეს ეგი. ისინი ერთად შეუდგენ სახალხო მეურნეობის აღდგენის გრანდიოზულ მუშაობას ახალ ეკონომიურ წესწყობილების საფუძვლებზე მათ მიერ გამოვლილ დაუჯერებელ უბედურებათა შემდეგ.

უწევდენ რა ერთმანეთს მუდმივ ძმურ დახმარებას მთელი თავიანთი ძალებით და საშუალებებით, ისინი დიდხანს დარჩენ, თუმცა საკავშირო ხელშეკრულებებით დაკავშირებულნი, ცალკე სახელმწიფოებად.

მათ ურთიერთ დამოკიდებულებათა შემდეგმა განვითარებამ და საერთაშორისო პირობების მოთხოვნილებამ გამოიწვია მათი ერთ საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანება.

მსოფლიო რეაქციის და იმპერიალისტურ მთავრობების აგრესიულ ლტოლვათა გაძლიერება და მასთან დაკავშირებული ახალ თავდასხმების საშიშროება აუცილებლად მოითხოვს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვითი ძალების ერთ საკავშირო ცენტრის ხელში გაერთიანებას.

იმავე დროს ომით, ინტერვენციით და ბლოკადით განადგურებულ საბჭოთა რესპუბლიკებში სამეურნეო აღმშენებლობა მიუწდომელი ამოცანაა მათ ძალ-ღონის გაერთიანების გარეშე და წარმატებით შეიძლება იქნეს განხორციელებული მხოლოდ მთელი კავშირის ერთიანი სამეურნეო ცენტრის გეგმაშეწონილ ხელმძღვანელობით.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლების თვით ბუნება, საბჭოთა რესპუბლიკებში ახალ წესწყობილების მუდმივ განვითარების და განმტკიცების დროს, მოითხოვს მათი ძალღონის გაერთიანებას, რომელიც მიმართულია ერთ საერთო მიზნისაკენ.

ამას წინად მოწვეულ საჭოთა რესპუბლიკების ხალხებმა ერთსულოვნად გადასწყვიტეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის, ერთიან საკავშირო სახელმწიფოს დაარსება. თანასწორ უფლებიან ხალხთა გაერთიანება არის ნებაყოფლობითი, რომლის დროს არ იქნება ეროვნული ჩაგვრა და რომელიმე ხალხისათვის ძალდატანება დარჩეს ამ სახელმწიფოს საზღვრებში; იგი აძლევს უფლებას თვითეულ რესპუბლიკას კავშირიდან თავისუფალი გამოსვლისა და იმავე დროს გზას უხსნის თავისუფლად შესვლისათვის ყველა სოციალისტურ რესპუბლიკებს. აგრეთვე იმათ, რომელნიც მომავალში უნდა დაარსდენ.

6 ივლისს დეკლარაცია და ხელშეკრულება, რომელიც მიღებულ იქნა კავშირში შესულ საბჭოთა რესპუბლიკების მიერ, დამტკიცებული იქნა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ და შევიდა ძალაში, ვინაიდან აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკებისათვის თავიანთი ძალების გაერთიანება გარეშე თავდასხმათა მოსაგერიებლად, მოქმედებას იწყებს ერთიანი საერთო—საკავშირო სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი.

საბჭოთა რესპუბლიკების ამოცანათა და მოთხოვნილებათა საერთო ხასიათის გამო კაპიტალისტურ სახელმწიფოების წინაშე, დაარსებულია გარეშე საქმეთა ერთიანი საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატი.

საგარეო ვაჭრობის სრული ცენტრალიზაციის აუცილებლობამ სახელმწიფოებრივ მონოპოლიის საფუძველზე, კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ დამონაებისაგან საბჭოთა რესპუბლიკების დასაცავად აიძულა ისინი შეექმნათ საგარეო ვაჭრობის ერთიანი საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატი.

სახალხო მეურნეობის გეგმა შეწონილად დაყენება მოითხოვს მათგან ტრანსპორტის და კავშირის გაერთიანებას, ე. ი. გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატების შექმნას.

საკავშირო რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სხვა დარგები ნაწილობრივ დაქვემდებარებულია საკავშირო ცენტრისათვის, თვითეულ რესპუბლიკაში საკუთარი ცენტრის დატოვებით, ნაწილობრივ რჩებიან მხოლოდ და მხოლოდ ცალკე რესპუბლიკების ხელში.

სახალხო მეურნეობის და ფინანსების უშუალო მართვა-გამგეობა, სასურსათო საქმის ორგანიზაცია, დაქირავებულ შრომის უფლებათა და ინტერესების სახელმწიფოებრივი დაცვა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მთელ სახელმწიფო აპარატზე კონტროლის განხორციელება იქნება ერთსა და იმავე დროს საერთო-საკავშირო ცენტრის ხელშიაც, რამდენადაც მათთვის საჭიროა საერთო ხელმძღვანელობა ერთიან ცენტრიდან, და ცალკე ცენტრების ხელშიაც თვითეულ საკავშირო რესპუბლიკაში, რამდენადაც ამა თუ იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათთვის საჭიროა განსაკუთრებული ხელმძღვანელობა.

კომისარიატები, რომელნიც ისახავენ სპეციალურად ეროვნულ ამოცანებს, რომელთაც საქმე აქვთ ეროვნულ ყოფა-ცხოვრების თავისებურებასთან, როგორც მაგალითად: განათლების, მიწადმოქმედების, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სხვა, იარსებებენ მხოლოდ საკავშირო რესპუბლიკებში მათი სრული ხელმძღვანელობის ქვეშ.

მთელი კავშირის მშრომელთა მასების ერთიანი ნებისყოფა გამოიხატება მის უზენაესს ორგანოში—საბჭოების საერთო-საკავშირო ყრილობაში, მაგრამ თვითეულ ეროვნებას ეძლევა წარმომადგენლობა ეროვნებათა საბჭოში, რომელიც ითანამშრომლებს თანასწორ უფლებებში ყრილობის მიერ არჩეულ საკავშირო საბჭოსთან.

ამგვარად საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ძმური თანამშრომლობის საფუძველზე შექმნილი საკავშირო სახელმწიფო მიზნათ ისახავს ყველა ხალხებთან მშვიდობიანობის დაცვას. თანასწორ უფლებიანი ეროვნებანი მჭიდრო ურთიერთობაში და შეთანხმებულ მუშაობაში ხელი-ხელ ჩაკიდებული განავითარებენ თავიანთ კულტურას და კეთილდღეობას და განახორციელებენ მშრომელთა ხელისუფლების ამოცანებს.

არის რა ჩაგრულ ხალხთა ბუნებრივი მოკავშირე, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ეძებს ყველა ხალხთან მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობას და ეკონომიურ თანამშრომლობას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მიზნათ ისახავს მთელი მსოფლიო მშრომელთა ინტერესებისათვის ხელის შეწყობას თვალუწვდენელ სივრცეზე, ბალტიის, შავი და თეთრი ზღვებიდან წყნარ ოკეანემდე, იგი ანხორციელებს ხალხთა შორის ძმობის და შრომის სამეფოს, ცდილობს რა ამავე დროს ხელი შეუწყოს მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრულ თანამშრომლობას.

საბჭოთა სოციალისტურ რესპულიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეები: **მ. ი. კალინინი, გ. ი. პეტროვსკი, ნ. ნ. ნარიმანოვი, ა. გ. ჩერვიაკოვი.**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები: **ა. ხ. ენუქიძე, ლ. ბ. კამენევი, ფ. ი. კონი, დ. ი. კურსკი, დ. ზ. მანუილსკი, ა. ფ. მიასნიკიანი, ხ. გ. რაკოვსკი, ი. ე. რუძუტაკი, ა. ი. რიკოვი, ტ. ე. ხაპრონოვი, პ. გ. სმიდოვიჩი, ი. ვ. სტალინი, მ. პ. ტომსკი, მ. გ. ცხაკაია, ხიბირ ალიევი.**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი, კრემლი.
1923 წ. 13 ივლისი.

უდიდესი ფედერაცია.

საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ორგანოები შეუგა მუშაობას. მან დეკლარაციით მიმართა მსოფლიოს ყველა ხალხებსა და სახელმწიფოებს, სადაც აღნიშნულია მიზეზები საკავშირო სახელმწიფოს წარმოშობისა და მისი ორგანიზაციული შინაარსი და ფორმა

ამ აქტით საბჭოთა ქვეყნებს შორის იწყება იმ სოლიდარული და შეთანხმებული მუშაობის გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბება, რომელიც რევოლიუციის პროცესში სტიქიურად მიმდინარეობდა. ერთი მხრით საკავშირო ორგანოების ხელში გადასვლა საერთომნიშვნელოვანი დარგების, ხოლო მეორე მხრით ერთა კომპეტენციაში დატოვება ეროვნული კულტურის და ეროვნული არსებობისთვის საჭირო პოლიტიკური დარგების საფუძველია შექმნილი კავშირის მიერ.

საკავშირო საბჭოსთან ერთად შექმნა ერთა საბჭოსი, სადაც ეროვნებათა თანასწორ წარმომადგენლობას აქვს ადგილი, კიდევ მეტად ამაგრებს და ამტკიცებს საბჭოთა ქვეყნების თანამშრომლობას.

ცხადია, იდეალური არ შეიძლება იყოს ბრძოლისა და კაპიტალისტური გარშემორტყმის პერიოდში შედგენილი კონსტიტუცია. მაგრამ დიდი და განუზომელი მიღწევაა ისიც, რომ სოციალისტურ ქვეყნების ურთიერთობის საფუძვლად გამოდგა მხოლოდ ფედერატიული პრინციპი, რასაც ჩვენ იმ თავითვე ვამტკიცებდით.

საბჭოთა უზარმაზარი ფედერაცია გამოხატულებაა იმ ფაქტის, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყოველგვარ უთანხმოებას, გაუგებრობას ამოვსწურავთ შეთანხმებით, საერთო ენის გამონახვით. ეს კავშირი ნათელყოფაა იმ ფაქტის, რომ მხოლოდ მშრომელთა ხელისუფლებას შეუძლია ერთა შორის მტრული განწყობილების, აგრესიული პოლიტიკის, შოვინისტური ზრახვების ლიკვიდაცია და საერთო ოჯახში თანამშრომლობა, როგორც საკუთარ, ნაციონალურ აღორძინების, ისე საერთო საქმეების გაძღოლის მიზნით.

თუ ასეთი სურათია საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობაში, ასეთივეს ვერ ვხედავთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ურთიერთობის სფეროში. აქ, ჩვენს შორის შეთანხმებაა, ჰარმონიაა, იქ შეუთანხმებლობაა, დისჰარმონიაა.

წინააღმდეგობა ინგლისსა და საფრანგეთის შორის ფიგურალური გამოხატვაა ბნრჟუაზიულ სახელმწიფოთა წინააღმდეგობის. ბურჟუაზიულ სამყაროში „ზავის“ შემდეგ მშვიდობა არ დამყარდა. მათი ლექსიკონი სხვა გვარად არის შედგენილი. იქ ზავი ომს უდრის, მშვიდობა—ანარქიას, შეთანხმება—შეუთანხმებლობას.

ყოველივე ეს შედეგია არა ბურჟუაზიულ პოლიტიკოსთა უვიცობის, ან მათი სისუსტის, არამედ კაპიტალისტური მეურნეობის შინაგანი ძალების, მისი იმანენტური კანონების. თავის თავად აღებული კაპიტალისტური მეურნეობა, ანტაგონისტური მეურნეობაა. იგი ანტაგონიზმს ქმნის არა მარტო დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის, არამედ ანტაგონიზმს ამეფებს ცხოვრების ყოველ სფეროში. ამ მეურნეობის დროს მუშები ებრძვიან კაპიტალისტებს, კაპიტალისტები ერთმანეთს, (მუშებიც ებრძვის ერმანეთს, სადაც კაპიტალი ბატონობს და სადაც კოლონიების ხარჯზედ ბურჟუაზია ქმნის მუშათა არისტოკრატიას თავის ბატონობის სიმტკიცისათვის) მრეწველობა მრეწველობას, ტრესტი ტრესტს, სახელმწიფო სახელმწიფოს. აქ არის ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ და ვინც ფიქრობს, რომ მისი დაძლევა შეიძლებოდეს მისტერ სნოუდენების რეცეპტებით, რომელსაც ჰგონია, რომ ლორდები პარლამენტის საშუალებით განახორციელებენ სოციალიზმს და ბოლოს მოუღებენ ანტაგონისტურ მეურნეობას, ისინი მალე დარწმუნდებიან ამის შეუძლებლობაში.

ეს შინაგანი ანარქია და წინააღმდეგობა ლრღნის კაპიტალისტურ ქვეყნებს. საბჭოთა ქვეყნები, ათასჯერ დავმარცხდებოდით, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ანტაგონიზმი არ სუფევდეს. საოკუპაციოდ გადაქცეული გერმანეთი, კიდევ მეტ რისხვასა და განადგურებას აიტანდა, რომ ესევე ანტაგონიზმი, კერძოდ ინგლისსა და საფრანგეთს შორის, არ აკავებდეს გერმანეთის განმანადგურებელ მისწრაფებას ორივე ქვეყნების მიერ.

რამდენადაც უძლეველია კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ანტაგონისტური ტენდენცია, იმდენად მტკიცე და სოლიდარულია საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო და საშინაო მდგომარეობა.

ჩვენი შეთანხმება და მათი შეუთანხმებლობა, ჩვენი ერთობა და მათი მტრობა, ნიადაგია ჩვენი აღორძინების და მათი დაცემის, ჩვენი რენესანსის და მათი დეკადანსის. ეს არის ისტორიის ნებასურვილი და მას ვერ შესცვლის, ვერც ფაშისტების თავხედობა და ვერც ინგლისელ პოლიტიკოსთა მოქნილი მანერები.

მენშევიკები და ბოლშევიკები

(ამხანაგ მარტინოვის მოხსენებიდან)

ამხანაგებო, მე აქამდის ვლაპარაკობდი ბრძოლის შესახებ ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის რუსეთისა და საერთაშორისო მასშტაბით. ეხლა რამოდენიმე სიტყვას ვიტყვი ბრძოლის შესახებ ქართველ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის.

იყო დრო ამხანაგებო, როდესაც ქართველი მენშევიკები მენშევიკურ ფრაქციის ყველაზე უფრო მებრძოლსა და რევოლიუციონურ ჯგუფს წარმოადგენენ. იმ დროს, ეს იყო პირველი რევოლიუციის ეპოქაში, საქართველოს მენშევიზმის პატრიოტიზმი გამოიხატებოდა იმაში, რომ იმათ თავი მოქონდათ იმით, რომ ისინი იყვენ რუსეთის რევოლიუციის დამწყებნი. საქართველოს მენშევიკებმა პირველმა მორთეს ყიჟინი მენშევიზმში ოპორტიუნისტულ განწყობილების გაძლიერების შესახებ: მე არასოდეს არ დამავიწყდება ერთი ეპიზოდი ჩემი პარტიული ცხოვრებიდგან. ეს იყო ლონდონში, 1907 წ. ჩვენს პარტიულ ყრილობაზე ქართველი მენშევიკები უკმაყოფილო იყვენ მენშევიკური ფრაქციის საერთო განწყობილებით და კერძო თათბირი გამართეს, რომელზედაც ყველა რუს მენშევიკებიდან დამიშვეს მხოლოდ მე, რადგან ჩემთან მეგობრულად იყვენ განწყობილი, და აი ამ თათბირზე განსვენებულმა ჭლექიანმა არჩილ ჯაფარიძემ მიმართა კრებას სიტყვით, და მისი პირველი სიტყვები ამბობდენ: მითხარით, ამხანაგებო, რისთვის გაჭრა ცეცხლი მენშევიკების თვალებში?“ ეს სიტვვები მე კარგად დამამახსოვრდა.

ასეთი იყო ქართველი მენშევიკების განწყობილება პირველი რევოლიუციის ეპოქაში. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, ჩვენ იმ დროს გვეჩვენებია ნოე ჟორდანიასთვის, ირაკლი წერეთლისთვის და სხვებისთვის მათი მომავალი სურათი, რომელიც მათ სახეს გამოხატავდა 10 წლის შემდეგ, ისინი აღშფოთებულნი ზურს შეაქცევდნენ ამ სურათს და იტყოდნენ, რომ ეს გაბოროტებული კარიკატურაა მათზე. ქართველი მენშევიკები საუკეთესოები იყვენ მენშევიკებიდან. ოქტომბრის რევოლიუციის დროს მათი ხელმძღვანელები, სამწუხაროთ ყველაზე ცუდები გახდენ მენშევიკებიდან.

3 და 4 სახელმწიფო სათათბიროში ქართველი დეპუტატები—ჩხეიძე, ჩხენკელი, გეგეჭკორი დიდმპყრობელი რუსეთის პატრიოტები იყვნენ, ძალზე დიდი პატრიოტები, პროლეტარიატის ინტერესების საზარალოთაც კი. ისინი იმ დროს აღშფოთებით ეპყრობოდენ ველიკორუს სოც.-დემოკ. ლენინის დამარცხებითი სიტყვებს („პარაჟენჩესკი“) თებერვლის რევოლიუციის დროს ირაკლი წერეთელიც დიდი, მეტად დიდი დიდმპყრობელური რუსი პატრიოტი იყო. მე მახსოვს, როგორ ეშინოდა მას ფინეთისა და უკრაინის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გახდომა. მე მახსოვს, ის გაემგზავრა ფინეთში და უკრაინაში დიპლომატიური მისიით განემტკიცებია მათი სახელმწიფოებრივი მთლიანობა დიდ რუსეთთან, ამ ქვეყნების რუსეთთან ფედერატიული კავშირიც კი არ აკმაყოფილებდა მას. მე მახსოვს, წერეთელი მზათ იყო ეჭვი აეღო სახელმწიფო ღალატში იმ ამხანაგებზე, რომელნიც გერმანიაზე გამოვლით ჩამოვიდნენ რევოლიუციონურ რუსეთში, კერძოდ კი ამხ. რაკოვსკიზე.

რამ შესცვალა ისინი ასე უეცრად **დიდმპყრობელ რუს პატრიოტებიდან საქართველოს უკიდურეს შოვინისტ-ნაციონალისტებათ?** რამ აიძულა ისინი ერთი უკიდურესობიდან საწინააღმდეგოზე გადასულიყვენ?

ნუ თუ მართლა სიყვარულმა თავის სამშობლო—საქართველოსადმი? არა, ამხანაგებო. მათ, მე ვფიქრობ, არა ნაკლებ უყვარდათ თავისი საქართველო მაშინ, როდესაც ისინი ამაყობდენ, რომ მას საპატიო ადგილი უჭირავს რუსეთის რევოლიუციაში.

ისინი უეცრათ გახდენ ქართველ შოვინისტებათ არა პროლეტარულ რევოლიუციის სიყვარულით, **დამოუკიდებელი საქართველო მათთვის საჭირო იყო, როგორც დროებითი თავშესაფარი, სადაც მათ შეეძლოთ თავი დაეცვათ ბოლშევიკებისაგან იმ დრომდი, სანამ საბჭოთა ხელისუფლება არ ჩამოვარდებოდა და შეძლება ექნებოდათ მათ ბურჟუაზიულ რუსეთს შეერთებოდენ.** ისინი ამბობდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოების ბრძოლაში ისინი ნეიტრალიტეტს დაიცავდენ. მე არ ვიღებ ჩემს თავზე იმის წაკითხვას, თუ რა იყო მათ გულში. შეიძლება ქართველ მენშევიკების ლიდერებში იყვენ ისეთები, რომელთაც მართლაც სურდათ ნეიტრალიტეტის დაცვა, მაგრამ ჩვენ ვაფასებთ ადამიანებს მათი სიტყვების მიხედვით კი არა, არამედ საქმით.

სინამდვილეში კი მათ **საქართველო გადააქციეს პლაცდარმათ კონტრ-რევოლიუციონურ ძალების შესაგროვებლათ დენიკინისა და ვრანგელისათვის დახმარების გაწევის მიზნით.** თუ ჰქონდათ მათ რყევის წუთები, მაგალითად, პირველ ხანებში, როდესაც ინგლისელები შემოვიდენ ამიერკავკასიაში, ადგილობრივი მოსახლეობისადმი საძაგელი მოპყრობის შთაბეჭდილების ქვეშ, საბოლოოდ კი ისინი მჭიდრო კავშირში შევიდენ ინგლისელებთან და მზათ იყვენ მხარი დაეჭირათ მათთვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. სიტყვით მათ მხოლოთ ერთი ახსოვდათ—საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა, საქმით კი მათ საქართველო გადააქციეს იმპერიალისტურ მახინაციე-

ბის იარაღათ პროლეტარულ რევოლიუციის წინააღმდეგ. ასე მოქმედებდენ მენშევიკები, რას აკეთებდენ ამ დროს ბოლშევიკები?

მთავარი ბრალდება, რომელსაც აყენებდნენ ქართველი მენშევიკების ბოლშევიკების წინააღმდეგ, მდგომარეობდა იმაში, რომ ამ უკანასკნელებმა ჯარებით ოკუპაცია უყვეს საქართველოს, რომ შემოიყვანეს აქ წითელი არმია, საქართველოში ვითომდა აჯანყებულთათვის დახმარების გაწევის მიზეზით. ამ ფაქტზე, ამხანაგებო, ღირს შევჩერდეთ პირველ ყოვლისა მე ვბედავ აგიხსნათ თქვენ ერთი საიდუმლო. რამდენათაც მე ვიცი, მოსკოვის ბოლშევიკური ლიდერები—ლენინი და ტროცკი წინააღმდეგი იყვენ საქართველოში წითელი არმიის შესვლის. ლენინი მომხრე იყო ჟორდანიასთან შეთანხმების და ლენინის პოზიცია ლოლიკურათ გამომდინარეობდა იქიდგან, რაც მან სთქვა ეროვნულ საკითხის შესახებ ჯერ კიდევ 1915 წ. საერთაშორისო ომის დროს. თქვენ გახსოვთ მისი სიტყვები: „სოციალ-დემოკრატიამ დიდმპყრობელ ერის, რომელიც იყო დამჩაგვრელი ერი, უნდა დაიცვას დაჩაგრულ მცირე ერის უფლებები თვითგამორკვევაზე სრულ გამოყოფამდიც კი. საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის ინიციატივა გამოდიოდა არა მოსკოველ ბოლშევიკებისაგან, არამედ ქართველ ბოლშევიკებისაგან, რომელთაც არ შეიძლება საყვედური უთხრათ თავის სამშობლოსადმი უსიყვარულობაში. ქართველ ბოლშევიკებმა ითავეს ეს საქმე თავისი შიშისა და რისკის ქვეშ და მოსკოველი ამხანაგები მომხდარ ფაქტის წინაშე დააყენეს, და მე ვფიქრობ, რომ ისინი მოიქცენ როგორც პატიოსანი კომუნისტები და თავის ხალხის ერთგული მეგობრები. საქართველოს ბოლშევიკები აშკარათ ხედავდენ, რომ საქართველოში არის სწორეთ ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელზედაც ლენინი ლაპარაკობდა 1915 წ., ის მდგომარეობა, როდესაც პატარა ქვეყანა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ, კონტრ-რევოლიუციონურ როლს თამაშობს დიდი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელმაც სოციალისტური რევოლიუცია მოახდინა: სწორედ იმიტომ, რომ ქართველი ბოლშევიკები ამაყობდნენ საქართველოს რევოლიუციონურ წარსულით, მათ არ შეეძლოთ მოეთმინათ, რომ მენშევიზმის ხელმძღვანელებს ტალახში ამოესვარათ მათი სამშობლოს რევოლიუციონური წარსული. მათ არ შეეძლოთ მოეთმინათ, რომ მათი საყვარელი საქართველო საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის იარაღად გამხდარიყო. ამან აიძულა ისინი შემოეყვანათ საქართველოში წითელი ჯარები. წააგო თუ არა ამით ქართველმა ხალხმა? საქართველოს ბურჟუაზიამ, ქართველმა მემამულეებმა და მღვდლებმა უეჭველად წააგეს, მაგრამ ქართველმა მუშებმა, ქართველმა გლეხებმა ამით ძალიან ბევრი მოიგეს,

ახალი ამბები

— **მისაბაძი მაგალითი.** საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სალაროში მოქალაქე ალექსანდრე თავართქილაძემ შამოიტანა წითელ ავიაციის ფლოტის ფონდის გასაძლიერებლად 500.000.000 მან.

— **ფულის შეკრება.** დღეს იწყება ყულაბებით ფულის შეკრება კურორტ „შოვის“ სასარგებლოდ. შემოსავლის შემკრები კომისია მიმართავს ყველა მოქალაქეთ აღმოუჩინონ საჭირო დახმარება კურორტის მომწყობ კომისიას.

— **ქალაქის აღმასკომმა** დაურიგა საავადმყოფოებს 10,000 არშინი თეთრეული და სხვა მანუფაქტურა; აგრედვე 700 წყვილი თბილი საბანი.

— **შრომის ბირჟა.** წარსულ დღეს გამოცხადდა—606 უმუშევარი. კვლავ ჩაეწერა—117. მოთხოვნილება იყო 40, გაიგზავნა სამუშაოზედ—58. აღდგენილია უფლებაში—8.

— **საბნები ბავშებისთვის.** აღმასკომმა მისცა საბავშო სახლებს 300 წყვილი თბილი საბანი.

— **მიკროსკოპიული სადგური.** იანვრიდან ივნისამდე მიკროსკოპიულ სადგურში შემოწმებულია მსხვილი ოთხფეხიანი საქონელი 1429, ღორი,—9348. ცხვარი და თხა 1572, (ვიჩინა) 1478 ფუთი, და სხვა.

— **სასწრაფო დახმარება.** იანვრიდან მაისამდე სასწრაფო დახმარების ეტლი დამახლილი იქმნა—421 ჯერ. ავადმყოფები გადაიყვანეს 487.

— **მოწაფეთა რაოდენობა.** 1923 წლის პირველ ნახევარში ტფილისის ყველა შრომის სასწავლებლებში, საბავშო სახლებში და სხვა 25836 მოწაფე ითვლებოდა.

— **გადასახადები.** ტფილისის აღმასკომის სალაროში შემოვიდა 26,817 მანეთი 28 კ. ოქროთი, გადასახადებისაგან.

— **გენერალური წმენდა.** ამ დღეებში შრომის ბირჟა შეუდგება მობილიზაციით დათხოვნილთა უმუშევრების გენერალურ წმენდას.

— **სტიპენდიები.** განათლების კომისარიატმა დაადგინა დაარსოს სტიპენდიები ტფილისის, ქუთაისის, გორის, და ბოდბის ტეხნიკუმებში. სტიპენდიანტები, მოვალენი არიან სწავლის დამთავრებისას იმსახურონ ხუთ წლის განმავლობაში იმ ტეხნიკუმებში სადაც მიუთითებთ განათლების კომისარიატი.

თეატრი და ექსპრესიონიზმი.

III რეჟისორი

(რაინჰარტი)

თანამედროვე თეატრმა დრამატურგს, მსახიობს, მაყურებელს ერთი ახალი პირიც ამოუყენა გვერდში.—რეჟისორი. რეჟისორს ძველი თეატრები არ იცნობდნენ. რეჟისორი სტრატეგია იმ ომისა, რომელსაც იწყებს დრამატურგი, მსახიობი ასრულებს. ეს ახალი კაცი მოვიდა და დიქტატორული უფლებები მოითხოვა თეატრში. მან ჰარმონიული ერთიანობა უნდა დაამყაროს დრამატურგს, მსახიობსა და მაყურებელს შორის. მან უნდა აკრიფოს ყველას, შემაერთებელი სადავეები, მან უნდა შეიმუშაოს დრამის აღსრულების წინასწარი გეგმა უაღრესს დეტალამდის, ავტორის სიტყვას განდობილმა, არტისტის ტემპერამენტს აყოლილმა უნდა გამოიანგარიშოს ყოველი ნიუანსი მომავალი თამაშისა, ამავე დროს იგი მაყურებელის კაპრიზებსა და სურვილებსაც ანგარიშს უნდა უწევდეს.

თუ ევროპიული მასშტაბით ტიპიური დრამატურგი შექსპირშია, ტიპიური რეჟისორია ამავე მასშტაბით- რაინჰარტი. რაინჰარტის თეატრი, რაინჰარტის რეგია, კონტრ რაინჰარტი, რაინჰარტის მტრები, რაინჰარტის ეპიგონები. ისმის პრესსაში დ ლიტერატურაში. ცხადია: რაინჰარტმა გახსნა, ახალი ეპოქა ევროპიული თეატრის განვითარებაში.

რაინჰარტი ბატონობს, რაინჰარტს ემორჩილებიან, ან რაინჰარტს ებრძვიან გერმანიის უდიდესს თეატრალურ ცენტრებში. ერთნი: რაინჰარტი ფოკუს პოკუსია, რაინჰარტი ავანტიურისტია. მეორენი: რაინჰარტი ახალი თეატრის მესსიაა.

ავანტიურიზმის ნატამალი ყოველ დიდ ნოვატორში მოიძევა. აზრების ასეთი დიამეტრალი გაყოფა ამოწმებს, რომ რაინჰარტი დიდი არტისტია.

რაინჰარტამდის გერმანულ თეტრს მტკიცე ტრადიციები არა ჰქონდა. ამ მხრით საფრანგეთის თეატრის ტრადიციები უფრო ჩამოყალიბებული იყო ჯერ კიდევ კლასიციზმის ეპოქიდან. გერმანული თეატრი ვაიმარის გოეტე თეატრიდან რაინჰარტამდის ტრადიციონული ეკლექტიციზმის მატარებელი იყო. ვაიმარის „გოეტეს თეატრი“—ვენის—„ბურგ თეატრი“ ტონს აძლევდა ეკლექტიურ გერმანულ თეატრს. ამ მანძილზე ნათელი პერიოდები იყო ბრამსისა და დიუსელდორფელ რეჟისორის იმპერმანის დროს. სხვა პერიოდებში ვაგნერის ოპერა ჩრდილავდა გერმანულ დრამატიულ თეატრს. ვენის ბურგ თეატრში კიდევ რიგიანი ატმოსფერა იყო: მინიმალური ჰარმონია ავტორსა, მსახიობსა და თეატრალს შორის კიდევ არსებობდა. ამ ატმოსფერაში გაიზარდა რაინჰარტი. ამ პერიოდში მსახიობი იყო ცენტრალური ფიგურა. დიდი კაცი მხოლოდ იმითი ხდება დიდი, რომ იგი დროის საჭიროებას ყველაზე ადრე აუღებს ალღოს.

ჩვენ საუკუნეში ხელოვნების ყოველ დარგში უპირატესობა ეძლევა თვალს. თუ ბერძენი და რომაელი უმეტესად ყურით ისმენდა დრამას, სამაგიეროდ ანტიკის ტრაღიკოსი მთელ თავის სიძლიერეს ჰექზამეტრებში ახმაურებდა—რადგან მან იცოდა, რომ სმენა აჩნდა მის თანამედროულობას შეცნობისა და შეგრძნობის უმთავრესს ორგანოდ. ჩვენი საუკუნე თვალით კითხულობს ლექსს, დრამას, რომანს. თეატრში იგი მომეტებულად მზერით ღებულობს უმთავრესს ემოციებს. ეს იგრძნო რაინჰარტმა. მან თეატრში მხატვარს დაუთმო ერთი უმთავრესი ადგილთაგანი. ამგვარად: თუ ასრულებითი თეატრალურ ტეხნიკას ჩვენს დროში ახალი კაცი—რეჟისორი ემატება, შემოქმედებითს პერსონაჟს—მეორე ახალი კაცი თეატრში, მხატვარი,—მხატვარი ფერადებით გადმოვგცემს პოეტის ტექსტის სტილს და სულს. თუ ბრაჰმის დეკორაციები ელემენტარული—შავით და თეთრით სუნთქავდა, რაინჰარტმა ფერადების კომბინაციები გაამრავლა და გაართულა.

თანამედროვე თეატრში:

პოეტი ანიშნებს მსახიობს—მსახიობი ჟესტით, ხმით, მოქცევით განსახიერებს, მაგრამ პოეტის ნათქვამს არას უმატებს. პოეტი ანიშნებს მუსიკოსს—მუსიკოსი აშუქებს, ადიდებს, ახმაურებს პოეტის რიტმის ბგერას, მუსიკოსი უმატებს პოეტის ნათქვამს.

პოეტი ანიშნებს მხატვარს, მხატვარი ფერადით გაშლის, გახსნის პოეტის სიტყვაში მოცემულ ფერადობის ირაციონალს, ადიდებს მას, გაზრდის და იძლევა გასაოცარ ფერადების კალეიდესკოპს. მხატვარიც უმატებს პოეტის ნათქვამს.

რეჟისორი ყველაფერ ამას კორექტივს მისცემს, შეასწორებს შეათანხმებს, შეახამებს.

დღევანდელ თეატრში პირველი სიტყვა პოეტს ეძლევა—უკანასკნელი მსმენელს. მაგრამ ყველაზე მაღლა სდგას რეჟისორი, პოეტის სიტყვის ძიძა—მისი გამზრდელი და დამვაჟკაცებელი. რეჟისორი ამკვიდრებს ჰარმონიას ამ მრავალ, ერთი მეორისადმი კონტრასტულად განწყობილ შემომქმედთა და და სტიქიონთა შორის. იგი ჰარმონიის სარანგია იმ სიტყვების, ფერადების, ბგერის, რითმის, რიტმის, ქცევის ორონტრიალში, რომლის ასპარეზიც თეატრია.

დღევანდელი ევროპიული თეატრი საოცარი კენტავრია, იგი ჰერცოგების და მეფეების ნებიერ სასახლეებში გაიზარდა, გაუთხოვარი პრინცესეების და ავანტიურისტ რაინდების დროის მოსაკლავად გაჩენილი. შეიცვალა ისტორიული ჩარჩო დღევანდელი ევროპიული ადამიანობის ცხოვრებისა.

თეატრი მაინც დარჩა.—მას ელიზაბეტ ინგლისის დედოფლის დროის პარკი ახიურავს და მისი სახსრები კი ჯადოსნური მაშინერიითაა დაელექტრონებული. შექსპირის თეატრი ერთ დღესაც ვერ გასძლებდა თავისი სამ სართულიანი სცენით, რომ თეატრალურ ტეხნიკას თანამედროვე დროის ეკონომიის პრინციპისთვის ანგარიში არ გაეწია. რაინჰარტმა მოიშველია მაშინა. დღეს დეკორაციების აღაგებისთვის დრო არ იკარგება, რადგან რეჟისორის განკაგულებაშია საბრუნავი სცენა. რაინჰარტმა ყველაზე უფრო გამოიყენა მაშინერია სცენაზე.

თანამედროვე დასავლეთის თეატრის კრიზისზე მაშინ დაიწყეს ლაპარაკი, როცა ამ დაწინაურებული ტეხნიკით წელგამართული თეატრი მეტ ყურადღებას აქცევდა გარეგნულ ეფექტებს. სულ სხვაა იმ თეატრების ეტლი, რომელნიც ამ იაფ-ფასიან ეფექტებს მიზნად ისახავს.

დღეს ევროპის უახლოესს თაობას აშკარა ბრძოლა აქვს გამოცხადებული ამ უსულო მექანიზაციისთვის, ამ უსაშველო ამერიკანიზმისათვის. თეატრი არასოდეს არ უნდა გახდეს ამ მაშინერიის მონა. ჩვენს საუკუნეს მაშინა ბატონად ვერ გამოადგება, მაშინა მონის როლში უნდა ჩავაგდოთ. მაშინა—საშუალება, არა მაშინა—მიზანი. სული უნდა იქნეს თეატრშიაც ბატონი.

რაინჰარტსაც არ დავიწყებია ამ სულიერი ელემენტისათვის უპირატესობის მინიჭება.

ყოველ ახალ თეატრს ლაიტმოტივად უნდა ექნეს თეატრი—ტრიბუნა მაღალი სულისა.

რეჟისორს მუდამ ეს სულიერი ელემენტი უნდა მიაჩნდეს მუდმივ სანიშნოდ.

უკანასკნელ ათეულ წლებში რაინჰარტმა სცენის რევოლიუცია მოახდინა. ერთგვარი coup d'etat თეატრალურ სამყაროში. მან გაჰბედა მთელი თანამედროვე თეატრის პრობლემების ტვირთვა. ევროპიული თეატრის განვითარებაში.

ვიდრემდის პოეტი დრამას დასწერდეს, იგი თავისი დრამის ვიზიონერული ცხადებას წინასწარ ხედავს. არსებობს ალბად რეჟისორისთვისაც დასადგმელი დრამის წინასწარი ვიზიონერულად ხილვა. ამგვარად პოეტის მიერ გადასროლილი თესლი რეჟისორის სულში მწიფდება—ხდება ხელმეორედ შობა ხელოვნური ქმნილებისა.

პოეტის სიტყვა გასაღებია რეჟისორის გულისათვის. რაინჰარტის მახლობლები გვიამბობენ როგორის ზუსტი დეტალიზაციით არჩევს, სწავლობს, იკვლევს, ითვისებს რაინჰარტი არჩეულ ქმნილებას. ადგენს მთელ გეგმას, სწავლობს ამ ქმნილებას ყოველის მხრით. როცა პოეტური ქმნილების სუბიექტიური სულობა მისთვის ნათელი გახდება, იგი შეუდგება იმ არეს, იმ გარემოს შესწავლას, რომელიც პოეტური ნაწარმოების ატმოსფერას შეადგენს. აქ იშველიებს იგი ეთნოგრაფიას, უფლების, რელიგიის, ზნეჩვეულებათა ისტორიას, რათა ყოველი დეტალი, ყოველი წვრილმალი ზუსტად გათვალისწინებული იქნეს. იგი დიდი ხელოვანია და იცის, ხელოვნურ ქმნილებაში დეტალს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ქმნილების მთლიანობისათვის, როგორც მთლიანობას დეტალისათვის. მთლიანობიდან დეტალისკენ—აკი ესეც გოეტეს პაროლია.

თანადროულობამ თავისი კაპრიზებში და მოთხოვნილებები წაუყენა თეატრსაც. ჩვენი საუკუნე მასსების მისტიკით მოშხამული საუკუნეა. გართულდა და გავრცელდა მსოფლიო პანორამა. მილიონები მონაწილეობენ ომებში, მილიონები აშენებენ ხიდეებს, მილიონები ახდენენ რევოლიუციებს, მილიონები აცხადებენ უფლებას თანასწორ უფლებიან არსებობაზე. თუ ევრიპიდეს, ესხილოს, სოფოკლეს ან შექსპირის ტრაღედიებში მხოლოდ გვირგვინოსნების მკერდ ქვეშ სძგერდა „მარადიული ადამიანის“ გული, დღეს დიდი ქალაქის ყოველ ნაცრისფერ მოქალაქის, ან ლაკაროინის გულშიაც შეიძლება მსოფლიო ჭმუნვის შხამი ბუდობდეს; გართულდა და გაძლიერდა მსოფლიოს მაჯისცემის დინამიკა. დანამედროვე ჰომო საპიენსის ნერვები ისე გაფაქიზდდა, უკეთ ისე დაჩლუნგდდა, რომ მასზე ზედგავლენის მოხდენა და მისგან სათანადო რეზონანსის მიღება არც ისე ადვილია... ამ მილიონების გულების ასაძგერებლად ძალოვანი კატასტროფები—და ძლიერი სურათებია საჭირო. თუ სახელმწიფოში მილიონებმა უფლება მოიპოვეს, არა ნაკლები პრეტენზია აქვთ მათ სცენაზედაც ტრიუმფით გადიარონ. რაინჰარტის თეატრზე ესეც განსახიერდა. ვინც რაფაელის, მიქელანჯელოს მასსიურ სცენებს დაჰკვირვებია, მან—იცის, რომ ყველაზე ძნელია მასსიური სცენების გადმოცემა ხელოვნებაში.

ხელოვანი არწივის ხედვით უნდა აღიჭურვოს რომ უსახო, უპიროვნო მასსაში ჩრდილისა და სინათლის ნიუანსებით ისე გასთიშოს და გაარიდოს ერთი მეორეს უმნიშვნელო და მნიშვნელოვანი მასიურ სურათში, რომ სურათის საერთო ჰარმონიულ მთლიანობას არ ავნოს—გააკერძოვოს ფრიად მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ელემენტები. მასსიურ სცენების გადმოცემაშიაც ისეთივე უბადლო ოსტატია რაინჰარტი, როგორ მყუდრო მდაბიო მოქალაქურ ცხოვრების იდილიების ასახვაში.

მისი დანტონი უკვდავი ნიმუშია მასსების რეჟისორობისა. ასეთივე ძლიერია დანტონი თავის სცენიური ეფექტით. ტომები რომ წაიკითხოთ საფრანგეთის რევოლიუციაზე ისე ნათლად ვერ წარმოიდგენთ ამ საშინელ, ადამიანების საზოგადოებაში მომხდარ კატასტროფას, როგორც რაინჰარტის მიერ დადგმულ რომენ როლანის დანტონში.

ამგვარად ევროპიული თეატრის ტეხნიკური კრიზისის საფრთხე თავიდან აგვაცილა რაინჰარტმა თავისი ძლიერი და ჯადოსნური რეჟისორის ხელით.

ევროპიული თეატრის ისტორიაში სამი უმა-

— **საღამოს კურსების გაუქმება.** განათლების კომისარიატმა დაადგინა გააუქმოს საღამოს კურსები მოზრდილთათვის და მოწაფენი გადაყვანილ იქმნენ მუშათა ფაკულტეტებში.

— **სპეციალური ტეხნიკუმები.** ამავე საბჭომ დაადგინა სპეციალური ტეხნიკუმების ნორმად დაწესდეს სამი წელიწადი. ტეხნიკუმის კურს დამთავრებულთათვის. უფლება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებლების პირველ კურსზე შესვლის.

— **თავხედი შოფერები.** აღმოსავლეთის რევტრიბუნალი გაარჩევს სამი შოფერის, გიორგი სვანიას, ბ. შანაიანცის და მიხეილ ამირაძის საქმეს, რომელთაც ბრალდებათ სამი მოქალაქის გასრესა ავტომობილით.

— **ახალი წიგნი** გამოვიდა და იყიდება პოეტ იონა ვაკელის ლექსთა და პოემათა კრებული „შარავანდედი“. წიგნი შეიცავს 144 გვერდს. და ღირს 1 საქონლის მანეთი.

— **ანგარიშის გასწორება.** საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობამ „მწყესმა“ მოსკოვიდან უკვე მიიღო გაყიდული მატყლის ფული, რის გამო შეუდგა წევრებთან 1922 წ. ანგარიშების გასწორებას. უკვე გაცემულია 50 მილიონი მანეთი.

— **მატყლის** [illegible] „[illegible]“ შეუდგა შემოდგომის მატყლის მოგროვების სამზადისს; წევრებმა გაიტანეს შემოდგომის მატყლის ანგარიშში ავანსად 20 მილიონი მანეთი, ავანსის მიცემა წევრებზედ გრძელდება.

— **წარმოდგენა მუშათა დასასვენებელ სახლში.** დღეს 21 თიბათვეს, დღის 5 საათზე, ბეჭდვითი საქმის პროფესიონალურ კავშირთან არსებული დრამატიული ქართულ-სომხური მუშა-მსახიობთა წრე, მიემგზავრება მცხეთის მუშათა დასასვენებელ სახლში, სადაც იქ შაბათს და კვირა საღამოს გამართავს მუშებისათვის ქართულ-სომხურ წარმოდგენას და ორშაბათს დილით ისევ უკან დაბრუნდება. აღნიშნული კავშირის მუშათა დრამატიული წრე მომავალში სისტემატიურად გამართავს წარმოდგენებს როგორც მცხეთაში, აგრედვე კოჯორში რუსულს, ქართულს და სომხურ ენებზე.

ფიზიკური კულტურა

— სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ფიზიკურ განვითარების საქმის მოწყობის მიზნით იმავე კომიტეტთან დაარსებულია ფიზიკურ კულტურის უმაღლესი საბჭო.

— საქართველოს ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობა შემდეგია; მარიამ ორახელაშვილის (თავმჯდომარე), გ. დევდარიანი, გ. ეგნატაშვილი, ხუტულაშვილი, რუსაძე, ხაჭაპურიძე, გ. ნიკოლაძე, ზუნტურიდი, პროფესორი ღამბარაშვილი, ს. ასლანიშვილი, თ. ნიკოლაძის ასული, ვახეკი.

— საქართველოს ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოსთან დაარსებულია სამეცნიერო—საცდელი კომისია შემდეგ შემადგენლობით: გ. ნიკოლაძე (თავმჯდომარე), პროფესორი ღამბარაშვილი, გ. ეგნატაშვილი, თ. ნიკოლაძის ასული და ვახეკი.

— საქართველოს ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოს პირველი სხდომა შესდგა ამხ. მ. ორახელაშვილის თავმჯდომარეობით განათლების სახალხო კომისარიატში 18 ივლისს.

— გასულ თვეში ჩვენ თანამემამულემ თამარ ნიკოლაძის ასულმა ლონდონში ინგლისელ ქალთა ტანვარჯიშულ შეჯიბრებაში შვედური თანწყობით მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრებაში მან საუკეთესო ადგილი დაიკავა და მიიღო პირველი ჯილდო.

როგორც ვიცით, ელექტრონების თეორიაზე არის აგებული თითქმის მთელი უახლოესი ფიზიკა. მიუხედავათ ამისა, უკანასკნელ დროს პროფ. ერენხაფტმა ვენაში შექმნა მთელი სკოლა, რომელიც სადაოთ ხდის ამ ეპოქალურ თეორიას.

ერენხაფტი ამტკიცებს, რომ მან შესძლო გაზომვა ელექტრულ დატენილობისა, რომლებიც წარმოადგენენ უმცირეს ნაწილს ელექტრონისას. ეს მთელ თეორიას თავუკულმა აყენებს, რადგან ელექტრონი მის მიერ აღიარებულია სავსებით მცირე და განუყოფელ ერთეულად. ერენხაფტი—სერიოზული მეცნიერია და ამიტომ მისი სკოლა მეტად მნიშვნელოვანი დისონანსია უახლოესი ბუნებისმეტყველების გამაჯვებულ მსვლელობაში.

საუკეთესო მეთოდი ელექტრონის ოდნობის გასაზომავად გამომუშავებული არის მილლიკანის

�ერ ჩიკაგოში. ერენკაფტის მეთოდი არსებითად განსხვავდება მისი მეთოდისაგან მით, რომ ერენხაფტი აკვირდებოდა უფრო მცირე ნაწილაკებს, ვიდრე მილლიკანი. უკვე იმთავით იქვი იქნა გამოთქმული ამ გარემოების გამო: ერთი მეოთხედი მილიმეტრის ნაწილაკის დაკვირვების დროს ერენხაფს იოლად შეეძლო შეცდომაში შესვლა. ამ ჟამად ერენხაფტის შეცდომა ბრწყინვალეთ დაამტკიცა ახალგაზდა ფიზიკოსმა გ. კენიგმა შტუტგარტში. ის თავის ცდებში იღებდა თანდათანობით სულ მცირე ნაწილებს, სანამ მილლიკანის ოდნაობის ნაწილიდან ერენხაფტის ნაწილაკამდე არ მივიდა. ამასთან მართლაც აღმოჩნდა პირველად, რომ ნაწილაკების მოძრაობა თანდათან ნელი ხდებოდა მაგრამ კენიგმა დაამტკიცა, რომ ნაწილების ოდნაობა, რომლებიც „სუბ-ელექტრონს“ შეეფერებიან, დამოკიდებულია გაზისაგან, რომლებშიც ცდა სწარმოებდა. იოლად შეკუმშულ გაზებში, მაგალითად ნახშირმჟავაში, სუბ-ელექტრონი მიიღება უფრო დიდ ნაწილის დროს, ვიდრე უფრო მფრინავ გაზებში. ამან უკვე საბოლოოდ დაადასტურა წინათ გამოთქმული მოსაზრება, რომ ნაწილები იფარებიან გაზის გარსით, რომელიც ასუსტებს მათ მოძრაობას და ეს გავლენა გაცილებით უფრო ემჩნევა ერენხაფტის მცირე ნაწილებს, ვიდრე მილლიკანისას.

ჭრიჟინსკიაში

დ. ჩოხატაური. პარასკევს, 6 ივლისს ჩოხატაურის დრამატიული წრის მიერ ადგილობრივ სახალხო სახლში დაიდგა აზიური ოპერეტა „არშინ მალ-ალან“. პროვინციაში გამართვა ასეთი წარმოდგენისა, თქმა არ უნდა, ძნელია, მაგრამ უნდა ავღნიშნოთ; რომ სცენის მოყვარეთ დაეძლიათ პიესა ემჩნეოდა, რომ მათ დიდი ენერგია დაეხარჯათ პიესის მომზადებაზე. სცენა კარგათ იყო მოწყობილი და სცენის მოყვარენიც შესაფერისათ იყვნენ გამოწყობილი, საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა სცენის მოყვარე სანდრო რამიშვილმა (ვალი). გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის ამ როლში შეუდარებელი იყო და საზოგადოებაც მეტათ ასიამოვნა. კარგები იყვნენ აგრეთვე ქ. სხვიშვილი (თელი) და თ. მეგრელიშვილი (გულჩორა), დანარჩენებსაც არა უშავდათ და ანსაბლს ხელს უწყობდენ. უკრავდა სიმებიანი ორკესტრი. საზოგადოება დიდძალი დაესწრო—დარბაზი მთლათ გაჭედილი იყო და წესრიგიც საუცხოვოთ იყო დაცული.

— შაბათს, 7 ივლისს ადგილობრივ კოოპ. კავშირის თაოსნობით კოოპერაციის საერთაშორისო დღის აღსანიშნავათ სახალხო სახლში გაიმართა კრება. კრება გახსნა სეფე ცინცაძემ. მოხსენებით გამოვიდენ ევ. კაკაძე და ნ. ზამბახიძე. მათ განმარტეს 7 ივლისის მნიშვნელობა კოოპერაციისათვის, კოოპერაციის დანიშნულება, მისი მდგომარეობა და მისი განვითარების ისტორია. დასასრულ თავმჯდომარემ მიმართა კრებას მოკლე სიტყვით და აღნიშნა ის მიზეზები, თუ რატომ ვერ მოეწყო აღნიშნული დღე უფრო ფართოთ; უსურვა კოოპერაციას გამარჯვება, მისი მიზნების სავსებით განხორციელება და აღნიშნა, რომ ამ დღის აღსანიშნავად კოოპ. კავშირი უწერს მისი ხარჯით ადგილობრივ სამკითხველოს წლის ბოლომდე ორ გაზეთს: „კომუნისტს“ და „მიწის მუშას“ და მომავალშიაც ეცდება მთელი მისი საქმიანობა გამოიხატოს მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვაში და კულტურული დაწესებულების აღორძინებაში. ამით კრება დასრულდა! რის შემდეგ გადაღებული იქნა სურათი. მთელი დღის განმავლობაში კოოპერაციის დაწესებულებანი მორთული იყო სხვა და სხვა პლაკატებით და ცოცხალი ყვავილებით.

— სამკითხველოს ახალი გამგეობა უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. პირველ ყოვლისა მან მოაგვარა სამკითხველოს ბინა და დაამსგავსა ის მეცნიერების ტაძარს. გამოუწერა სამკითხველოს შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „კომუნისტი“, „ტრიბუნა“, „მუშა“, „მიწის მუშა“, „პრავდა“, „ნიანგი“ და „რუბიკონი,“

ამსაითელი.

საუბარი გლეხთან

ხეხილი ასე უნდა შეინახოთ

საადრეო ხილი ცოტა დროს თხოულობს სრულ დამწიფებამდე და საჩქაროდ იყიდება.

საგვიანო და საზამთრო ხილი კი რამოდენიმე თვეს ძევს სარდაფში ან სხვა ადგილას, სანამ ბაზარზედ გავიდოდეს.

საჭიროა ხილის შესანახი ადგილი ისე მოეწყოს, რომ ნაყოფი დავარგდეს და ხარისხი არ წაუხდეს.

ხეხილი ისევე სუნთქავს, იშრობს წყალს, როგორც სხვა მცენარე.

როცა დახურულ შენობაში ან ოთახში ბევრი ხილია თავმოყრილი მისი ორთქლი ჰაერს აფუჭებს და ამიტომ საჭიროა დრო-გამოშვებით ჰაერის გაწმენდა.

სუფთა ჰაერი ხილს რგებს და ხელს უწყობს მის ხარისხის გაუმჯობესობას.

ამისათვის კარგია თუ შესანახ ბინას აქვს ცალ-მხარეზე ჰაერის გასაწმენდი ფანჯრები.

არასოდეს არ შეიძლება გამკრავი ქარის შეშვება ხილის შესანახ ბინაში.

ქარი ჰაერს ძალიან აშრობს და ეს სწყენს შესანახ ხილს.

მშრალ ჰაერში ნამეტანი აორთქლების გამო ნაყოფი ჭკნება.

სუფთა ჰაერზე შენახული ხილი უფრო კარგი ხარ-ხის გამოდის.

როგორი სითბო უნდა ხილის შესანახ ბინაში?

ხილს ვნებს როგორც სიცხე, ისე სიცივე. ზედმეტი სითბო ხილს მალე ამწიფებს, არბილებს და ვერ ინახება კარგად.

ყინვა კი ხილის სირბილეს აფუჭებს, უკარგავს გემოს.

ცივ ზამთრიან ადგილებში უნდა მოვაწყოთ გასათბობი ღუმელი და ვიქონიოთ 4 – 9 გრადუსამდე სითბო.

გარდა ამისა დაუშვებელია ბინის უცბათ გათბობა და გაცივება.

ყოველთვის ნელ-ნელა უნდა გამოვცვალოთ ჰაერის სითბო-სიცივე.

სინესტე, ისე, როგორც სითბო, უსათუოთ ისეთი უნდა იყოს, რომელიც ხილისათვის საჭიროა.

მეტი სინესტე ხელს უწყობს სხვადასხვა სოკოების გამრავლებას.

ძალიან მშრალი ჰაერი ხილს აჭკნობს, წონას უკარგავს და დაჭმუჭნულ ულამაზო შეხედულებას აძლევს.

როცა შესანახ ბინაში მეტი სინესტეა, მაშინ აქა-იქ უნდა დავდგათ კალციუმ-ხლორის მარილი (აფთიაქებში იყიდება); ეს მარილი ისუტავს სინესტეს და ამით საშუალებას გვაძლევს სათანადო სინესტე დავიჭიროთ.

როცა სინესტე ნაკლებია, მაშინ ხილს სუფთა წყალი უნდა მოვასხუროთ ან და ბინაში დავდგათ წყალი. ის აორთქლდება და ჰაერიც საჭირო სინესტეს მიიღებს.

ხილის შესანახ ბინაზე საჭიროა დაკვირვებული და მუდმივი მუშაობა.

უმჯობესია ხილის შესანახი სარდაფები საერთო ძალ-ღონით გაკეთდეს და შიგ მცოდნე სპეციალისტების ხელმძღვანელობით ინახებოდეს ხილი.

(მიწის მუშა).

რძესაც ემართება ავადმყოფობა

ერიდეთ ჭლექიანი ძროხის რძეს, იქონიეთ სუფთად მეწველი ძროხის ჯანდაცვა ... ჭელი.

1) რძის დალპობა

რძის დალპობის გამომწვევი მიზეზი არის მალპობელა, თვალთუხილავი ბაცილები, რომლებიც ჩნდება რძეში ჰაერიდან რძის ჭურჭლის, ძროხის და რძის შესანახავ სადგომის უსუფთაობის გამო.

რძის დალპობას ხელს უწყობს აგრეთვე ძროხის დამპალ საკვებით კვებაც.

რძის დალპობა ადვილი საცნობია, რადგან ამ სნეულების დროს რძეს აქვს საზარელი ლაყე ყვერცხის სუნი და მომწარო გემო.

ასეთი რძეს ერთი-ორი დღის ჭურჭელში გაჩერების შემდეგ თავზე იყენებს ნაღებს თხელ ფენათ, რომელიც მალე სკდება ბუშტებივით და რჩება ჩაღრმავებული.

რძის სიდამპლის თავიდან ასაშორებლად საჭიროა რძის ჭურჭელი **იქონიოთ სუფთად;** ჭურჭელი ყოველ ხმარების შემდეგ უნდა გამორეცხოთ ჯერ ცხელი და შემდეგ ცივი წყალით.

კვირაში სამჯერ-ოთხჯერ უნდა გამოასუფთაოდ სოდიანი წყლით (ნახევარ გირ. სოდა გახსენით ერთ ვედრო თბილ წყალში). ვინაიდან რძის დალპობას იწვევს რძის სადგომის და ბოსელის უსუფთაობაც, ამიტომ საჭიროა ამ სადგომების ჭერი და კედლები შეათეთროთ კირის ხსნილით და უბოლოდ გოგირდი.

ამით მოვსპობთ რძის ყოველ სნეულების გამომწვევ თვალით უხილავ ბაცილებს.

კარგია მოწველის წინ, თუ გამობანთ ძროხას ცურს სიმჟავის ბორის ხსნილით. ერთ ვედრო წყალზე ნახევარ გირვანქა ბორისი. დამპალ მასალით ძროხა არ უნდა კვებოთ.

რძის ნაკლი.

წყლიანი რძე ძალზე თხელია, მოლურჯო ფერისაა, თავზე იყენებს თხელ ნაღების ფენას და კარაქიც ცოტა გამოდის.

წყლიან რძეს იმით შეატყობთ კიდევ, ჩადებულ კარგად გასალაშინებულ ხის საგანს სრულიბით არ ეკვრის.

წყლიან რძის მიზეზად ითვლება თვით ძროხის ჭლექით **ავადმყოფობა, შინაგან აგებულების აშლა** და **ძროხის ატეხის ხანა.**

ზოგჯერ ძროხა იწველება წყლიან რძეს ბევრი წყლიანი საკვების გამო, როგორიც არის ნაწვიმარი და ცვარიანი ბალახი.

ამ ავადმყოფობის თავიდან ასაცდენად საჭიროა ვეცადოთ მოვსპოთ ყოველივე ის მიზეზები, რაც იწვევს ამას, მაგალითად შეუწყვიტოთ ძროხას ცვარიანი და ნაწვიმარი ბალახის მიცემა, აშლილი შიგნითა აგებულება გაუწმინდოთ მუცლის საწმენდი წამლით, მივსცეთ ძალზე მეტი სასმელი, უმეტესად გახურებულ ტანზე და სხვა.

თუ ძროხა ჭლექით არის ავად, ის უნდა მოისპოს.

(„მიწის მუშა“) **კ. შანიძე.**

პარტიაში

დღეს, შაბათს, ივლისის 21, საღამოს სრულ 6 საათზე, პარტიულ კლუბში, დანიშნულია უმუშევარ პარტიულ ამხანაგების კრება. გამოცხადება სავალდებულოა ყველა უმუშევარ ამხანაგებისათვის დანიშნულ დროს.

მდივანი: **ა. ჩხენკელი.**

ორშაბათს, ივლისის 23, საღ. 7 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულია მე-2-ე რაიკომის წევრთა საზოგადო კრება. დასწრება ყველასათვის აუცილებელია.

რაიკომის მდივანი.

ბიბლიოგრაფია

გ. ი. დოხმანი—გარმიზა

„საბუნებისმეტყველო სამეცნ. წრე კლუბში“

საქ. კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის გამოცემა. 1923 წელი 45 გვერდი. ფასი 10 კ. ჩერვონ.

წინამდებარე წიგნი „საბუნების-მეტყველო—სამეცნიერო წრე კლუბში“ შედგენილი დოხმან—გარმიზის მიერ, გადათვალიერებულია პროფ. ტიმირიაზევისაგან. ამ ბროშურის გამოშვება გამოწვეულია იმით, რომ დღევანდელი ახალგაზრდობისათვის აუცილებლად საჭიროა ბუნების მეტყველების გავლა, იმ ცოდნის დასამტკიცებლად, რომელიც მას მიღებული აქვს სასწავლებელში ყოფნის დროს.

პატარა შესავლის შემდეგ განმარტებულია სტრუქტურა წრის ორგანიზაციისა, და ახსნილია ის პირობები, რის მიხედვითაც უნდა ხდებოდეს მუშაობა საბუნებისმეტყველო წრეში. წრის პროგრამას, ბროშურის ავტორი საფუძვლად უდებს იმ მოსაზრებას რომ, საბუნებისმეტყველო სამეცნიერო წრეს არ შეუძლია და არც უნდა მოგვცეს მარტო ცოდნა, უკანასკნელი უნდა იყოს საშუალება და არა მიზანი, ავტორს ძირითად მიზნად მიაჩნია თვით აზროვნების მეთოდების შეთვისება და მუშაობის იმ წესების გაცნობა, ურომლისოდაც შეუძლებელია გარეშე მოვლენათა სწორი გამოკვლევა.

წრის მიზნის ასეთი გაგება უსათუოდ სწორია ექსპერიმენტალური პედაგოგიკის უკანასკნელი სიტყვა სწორედ ასეთ მოსაზრებაშია შეჩერებული.

ამის შემდეგ ბუნების მეტყველების შესასწავლის პროგრამა დაყოფილია ცალკე საუბრებად სხვა და სხვა ასაკის მოზარდთა ჯგუფების მიხედვით და ყოველ ცალკე საუბარს თან სდევს შესაფერისი მეთოდიური დარიგება.

მე-5 და მე-6 საუბარში წიგნაკის ავტორს შესაძლებლად მიაჩნია ახალგაზრდათა მოზარდ ჯგუფს, საუბარი გაუმართოდ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა სიკვდილ-სიცოცხლის აზრი. ეს, ვფიქრობთ, ძალიან ნაადრევად უნდა ჩაითვალოს პატარა ასაკის მოზარდთათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ წინასწარ არა აქვთ გარკვეული ელემენტარი ფილოსოფიური კითხვები.

ამავე მოსაზრებით ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია აღნიშნულ საუბრებში მოსწავლეებს ველაპარაკოთ სიყვარულისა და სქესობრივი დამოკიდებულების საკითხებშე. რომ ეს თავიდან „ავიცილოთ საჭიროა ლექტორები ეცადონ, არას გზით არ აღუძრან ბავშვებს სურვილი აღნიშნულ თემებზე სალაპარაკოდ.

ავტორის დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ის ფიქრობს თითქოს შესაძლებელი იყოს ამ ასაკის ბავშვებისათვის სიყვარულის

ცნების სწორი გაგება. აქ დარღვეულია პედაგოგიკის ელემენტარი მოთხოვნილებანი.

პირველი სანიმუშო საუბრის კონსპექტი „ადამიანის მოდგმის წარმოშობის შესახებ“ საკითხს თავის დეტალებში ვერ სწურავს, ამდენადვე შესაძლებელი იყო მისი უფრო გაშლა და თვალსაჩინოდ გამოყენება. მეორე კონსპექტი სრულიად დამაკმაყოფილებელია, როგორც კონსპექტი, ხოლო მისი გაშლა დამოკიდებულია თვით მასწავლებელზე.

დასასრულს არ შეგვიძლია არ უსაყვედუროთ წიგნაკის ავტორს (თუ წიგნი პირდაპირ ქართულ ენაზეა დაწერილი ან მის მთარგმნელთ) რომ მრავალ ალაგას ნახმარი აქვს უხეირო რუსული ჟარგონები, როდესაც ქართულად ბევრად უკეთესი სიტყვები მოგვეპოვება ამ ცნებათა გამოსახატავად. მაგალითისათვის: საათის **პრუჟინა** (ხვეული), **ტორმაზი** (მუხრუჭი) და სხვ.

წიგნაკი სუფთადაა გამოცემული და კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

გ. თ—ლი.

ხელოვნება

თვითმშრომელთა კლუბში. შესდგა ქართული დრამატიული კოლექტივი თვითმშრომელთა კულტურულ-განმანათლებელ სექციის თაოსნობით, რომელიც სისტემატიურად გამართავს წარმოდგენებს კვირაში ერთჯერ. პირველი წარმოდგენა დანიშნულია დღეს, შაბათს, 21 ივლისს. იდგმება „ქრისტინე“. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. ამ საქმის ორგანიზატორად მიწვეულია დრამატურგი ნ. გერგესელი.

თვითმშრომელთა კლუბი დიდ საზოგადოებას იზიდავს. უმთავრესათ ხელოსნებს თავიანთ ოჯახობით. აქ არის მათი დასასვენებელი ადგილი საღამოობით, ბაღი საგანგებოდ არის მოვლილ-გამშვენიერებული. არის უფასო კინო. სამკითხველო, ყოველ ორშაბათობით ხელოსანთათვის იმართება უფასო მოხსენებები თანამედროვე სხვა და სხვა საკითხებზედ. იდგმება ქართულ-რუსულ-სომხურ ენებზე ყოველ კვირა წარმოდგენები. ბაღში უკრავს მუსიკა ცნობილ ლოტბარის მიზანდარის ხელმძღვანელობით. თვითმშრომელთა კლუბის კულტურულ-განმანათლებელ სექციას გადაწყვეტილი აქვს, რომ ამ მოკლე ხანში გამოსცეს საკუთარი სპეციალური გაზეთი, რისთვისაც უკვე მუშაობას შეუდგნენ.

———

„რაბისის“ დღე. ორშაბათს, 23 ივლისს, ტფილისის ყველა თეატრებში, კინოებში, ცირკში, ბაღებში და ფუნიკულიორ-ზედ გაიმართება მეტად საინტერესო, ფართო პროგრამით, წარმოდგენა კონცერტები ხელოვნების მუშაკთა კავშირის, (რაბისის) ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად. ამ საღამო კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ ტფილისის ყველა საუკეთესო მსახიობ—ხელოვანნი.

———

ახალი კრუჟოკი (ცირკის ქუჩაზედ). შაბათს, 21 ივლისს, ქართველ მსახიობთა კოლექტივის მიერ, წარმოდგენილი იქნება—პირველად ტფილისის სცენაზედ, ცნობილი ფრანგული კომედია—„ნათლული“ 3 მოქმედებად მორის-გენეკენისა, თარგმნილი ი. ბარველის მიერ. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ მთელი კოლექტივის შემადგენლობა. პიესას რეჟისორობს თვით მთარგმნელი ი. ბარველი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 50.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის შესახებ.

სასოფლო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის ყოველმხრივად შესწავლისათვის და აგრეთვე სოფლის მცხოვრებთა და მის მუშა—შემადგენლობის რაოდენობის გამოსარკვევად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ:**

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპ. მთელ ტერიტორიაზე მოხდენილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო აღწერა სოფლის დასახლებულ ადგილებში მდებარე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა მოკლე აღრიცხვით.

2. აღწერის მოწყობა, და საერთო ხელმძღვანელობა მისი განხორციელებისათვის დაევალება საქართველოს სასტატისტიკო ცენტრალურ სამმართველოს.

3. აღწერა მოხდება ამა წლის ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში; აღწერის დაწყების და დამთავრების დღეს განსაზღვრავს საქართველოს სასტატისტიკო ცენტრალური სამმართველო ცალკე დადგენილებით.

4. საბჭოთა ყველა ცენტრალური და ადგილობრივ დაწესებულებას დაევალება ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს ცენტრალურ სასტატისტიკო სამმართველოს მის ადგილობრივ ორგანოებს და აღწერის ყველა მომუშავეს აღწერის წარმატებით განსახორციელებლად.

5. კერძოდ, შინაგან საქმეთა კომისარიატს, სამაზრო და თემის აღმასრულებელ კომიტეტებს და სოფლის ადმინისტრაციას დაევალება მიიღონ სათანადო ღონისძიება, რათა აღწერის მონაწილენი უზრუნველყოფილ იქნან მიმოსვლის საშუალებით, საცხოვრებელი და საააღწერო მასალის შესაძენად სადგომით და აგრეთვე დანიშნონ სადაც საჭირო აღმოჩნდება, გამყოლი და თარჯიმანი. ცენტრალური სასტატისტიკო სამმართველოს მიერ მიწვეულ თანამშრომელთ მიმოსვლის საშუალებანი მიეცემათ ადგილობრივი ორგანოების მიერ სასყიდლით.

6. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს დაეკვალება, აღწერის ყველა კითხვებზე სრულიად სწორი და უტყუარი ცნობების მიწოდება.

7. საქართველოს სასტატისტიკო ცენტრალურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს უფლება ეძლევათ თანამშრომლები აღწერისათვის მიიწვიონ თავისი შეხედულებისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე **ს. გეგეჭკორი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1923 წ. ივლისის 20.

ტფილისი—სასახლე.

წერილები რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის 518 და 520 ნომრებში მოთავსებულია ვარლამ ჩლაიძის წერილები, რომლის შინაარსი შეეხება თვითმშრომელ ხელოსანთა საზოგადოების მოქმედებას და კერძოთ ამ საზოგადოების რამოდენიმე მოქმედ პიროვნებას. ნება მიბოძეთ მე, როგორც საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარეს, გავცე პასუხი ჩლაიძეს და ამით აუხსნა მკითხველებს რაშია საქმე და რატომ გამოილაშქრა მან საზოგადოების მოღვაწეთა წინააღმდეგ.

საერთოდ თავისი თავის ნება ადამიანისთვის უხერხულია, მეტი რომ არა ვსთქვათ, მაგრამ ჩლაიძისთვის არავითარი უხერხულობა არ არსებობს—მან ორთავე წერილში ისეთი ქებათა-ქება შეასხა თავის თავს, რომ ზოგიერთ მკითხველს ეგონებოდა—აი კაციც ეს ყოფილაო და ჭუდიც ამას უნდა ეხუროსო... მკითხველის სიმპატიის მოპოების სურვილმა იქამდინ მიიყვანა ჩლაიძე, რომ ფაქტების ხელოვნურათ მოწყობაც კი იკადრა. აი მისი სიტყვები: საზოგადოების დაარსებიდანვე „ცხარე წერილებს ვათავსებდი“ გაზეთში საზოგადოების შესახებ. „ეს იმ დროს, როდესაც საზოგადოება არ სარგებლობდა არავითარი უფლებებით. განვლო ხანამ და არსებულმა ხელის უფლებამ ანგარიში გაუწია ყოველივე ამას, რასაც ვსწერდი და ნაწილობრივათ უკვე დაკმაყოფილა კანონიერი მოთხოვნილება“....

ვინ არ იტყვის, რომ ეს ფაქტების ხელოვნურათ მოწყობაა? ვინ არ დამეთანხმება, რომ ამ სიტყვებით ჩლაიძეს უნდოდა დაერწმუნებინა შეუგნებელი ან მცირედ შეგნებული მკითხველი, რომ ვითომ ჩლაიძის წერილებს გაუწია ანგარიში არსებულმა ხელისუფლებამ და მიანიჭა საზოგადოებას უფლებები?...

რატომ იმას კი არ ამჟღავნებს ჩლაიძე, რომ ჩვენს ორგანიზაციას დაარსებიდან ეწოდებოდა „კავშირი“ და სწორედ მისი ცხარე წერილების შემდეგ კავშირის სახელი მოგვხსნეს და დაგვარქვეს „საზოგადოება“?! მაშ თუ ხელის უფლება ანგარიშს უწევდა ჩლაიძის წერილებს, მათ ჩვენთვის დიდი სამსახური არ გაუწევიათ, მაგრამ საბჭოთა ხელის უფლებას არ სჭირია ჩლაიძის სწავლება.... ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩლაიძემ არ იკმარა თავისი თავის ქება და ფაქტების თავის სასარგებლოთ მოწყობა, მან საზოგადოებას სახელიც კი გამოუცვალა, რათა გაედიდებინა, აემაღლებინა, გაებრწყინებინა თავისი სახელი, თავისი პიროვნება... გარწმუნებ, ჩლაიძის წერილების წამკითხველო, რომ „საქართველოს დამოუკიდებელ შინა მრეწველთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოება“, რომლის პასუხის მგებელ მდივნათ აცხადებს ჩლაიძე თავის თავს ამ ჟამათ არ არსებობს. არსებობს მხოლოდ „ქ. ტფილისის თვითმშრომელ ხელოსანთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოება“ და ჩლაიძემ მხოლოდ და მხოლოდ თავისი ტიტულის ასამაღლებლათ უწოდა ტფილისის ორგანიზაციას, მთელი საქართველოს ორგანიზაციის სახელი...

აი ამისთანა ადამიანი გამოდის და საზოგადოების მოღვაწეთ მრავალ-გვარ ბრალსა სდებს სხვა და სხვა ბოროტ მოქმედებაში და მათ შორის—ქრთამების მიცემაში და საზოგადოების ფულით ჯიბეების გასქელებაში.

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ჩლაიძეს არ ასიამოვნეს, მის სიტყვაზე არ გაიარეს, არ შეაქეს იგი დაუმსახურებლათ, სახელი არ გაუთქვეს, რედაქტორათ ყოფნა არ მოუხდა და ბოლოს მისი „გმირული“ მოქმედების შედეგათ, საზოგადოებიდან განდევნეს. რა თქმა უნდა ასეთი მეტიჩარა თავ მოყვარე ყველა ამის შემდეგ გაცხარდა და ცხარე წერილები გამოაცხო!

გადავიდეთ ფაქტებზედ. ამ ცხრა თვის წინათ ტფილისში არსებობდა ორი ორგანიზაცია—„რემკუსტი“ და „ოთხი ცეხის კავშირი“, მათ წევრებათ იყვნენ ყველა, ვისაც კი ხელობასთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ: ნამდვილი თვით მშრომელნიც და ექსპლოატატორ—„კულაკებიც“, ამგვარ ორგანიზაციებს მთავრობა არ უწევდა ანგარიშს და არავითარ უფლებებს არ აძლევდა. ამიტომ ჩვენ, ორგანიზაციების მეთაურებმა, გადავწყვიტეთ შეგვექნა ორგანიზაცია ნამდვილ მშრომელ ელემენტისა და ჩამოგვეშორებინა ექსპლოატატორები და „კულაკები“.

ახალ ორგანიზაციაში—თვითმშრომელ ხელოსანთა კავშირში,—რომელიც შევქენით დიდი შრომით და ენერგიით, მაინც შემოგვეპარენ არა სასურველი პირნი. ეს გარემოება მალე შევიტყვეთ და დავიწყეთ გაწმენდა კავშირისა და ამ გაწმენდასთან ერთად ვიგრძენით ოპოზიცია, რომელსაც შეიცავდა კავშირიდან განსადევნი ელემენტები, ოპოზიცია, რომელსაც სურდა კავშირში გაბატონება, რათა ესარგებლა იმ უფლებებით, რომელიც მიანიჭა საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელ ხელოსანთ. აი, მკითხველო, ჩვენი „პოზიცია“ და „ოპოზიცია“. და ეხლა შენ თვითონ გამოიყვანე დასკვნა, თუ ვინ ემსახურებოდა სიმართლეს.

ჩლაიძემ ამ „ოპოზიციის“ ლიდერათ გამოაცხადა თავისი თავი და აბა რა ფასი უნდა ჰქონდეს ამისთანა „ოპოზიციის“ ლიდერს?!

ჩლაიძემ ხელზე დაიხვია ლებანიძის მიერ 14 ივნისის დელეგატთა კრებაზე წარმოთქმული სიტყვები—„ზოგიერთი კომიტეტის წევრი საზოგადოების ფულით ჯიბეებს ივსებსო“. სიტყვები, რომელიც თვით ლებანიძემ იმავე კრებაზე უკან წაიღო და აღიარა, რომ ეს სიტყვები მას წამოსცდა დაუფიქრებლობის და შეუგნებლობის გამო. ჩლაიძემ კარგად იცის, რომ ყოველ თვის ბოლოს, ჯერ შრომის კომისარს და ეხლა სოციალურ უზრუნველყოფის კომისარს ეგზავნებოდა და ეგზავნება მოხსენება საზოგადოების შემოსავალ-გასავლის შესახებ; იცის, რომ ეს ცნობები გამოფენილია საზოგადოების დარბაზში და გაზეთებშიც კი იყო დაბეჭდილი. თუ ფულის მითვისებას აქვს ადგილი, რატომ მან არ გამოიჩინა მოქალაქობრივი გმირობა, არ განაცხადა სადაც ჯერ არს, თუ ვინ მოიპარა, რა დროს რამდენი? ჩლაიძე თავის წერილში აღნიშნავს „ხმებს“, ვითომ ფულს იპარავენო, იმ ხმებს, რომელსაც ავრცელებენ ჩლაიძესავით საზოგადოებიდან განდევნილი პირები, ამით მას უნდოდა ერთგვარი შთაბეჭდილება მოეხდინა წევრებზე, რათა მათ მომავალ არჩევნებზე აღარ აირჩიონ პოზიციის ხელმძღვანელნი და მისცენ ხმა გასაწმენდ „ოპოზიციას“ რომელიც თავისებურად დატრიალებს საქმეს, ხელახლად მოიწვევს ჩლაიძეს საზოგადოებაში და ჩაბარებს მას ბურთსაც და მოედანსაც. აი ნამდვილი მიზანი ჩლაიძის გამოლაშქრებისა! ამავე მიზნით ადასტურებს ჩლაიძე, ვითომ ივნისის 14-ს კრებაზე მას რაღაც საიდუმლოება უნდოდა გამოემჟღავნებინა კომიტეტის მოქმედების შესახებ, მაგრამ ჩხეიძემ ხმა გამაწყვეტინაო. კრებაზე თავმჯდომარეობდა ჩოდრიშვილი, რომელიც ჩლაიძის უადგილო ქცევამ იქამდინ მიიყვანა, რომ კრებიდან გასვლაც კი დააპირა. ვისი ბრალია, რომ ამის შემდეგ „ოპოზიციის“ ლიდერი არა თუ არ აალაპარაკა დელეგატთა კრებამ, არამედ სამუდამოდ საზოგადოებიდანაც კი განდევნა.

ჩლაიძე გამოესარჩლა საზოგადოებიდან პროვოკაციისთვის განდევნილ ყოფილ სარევიზიო კომისიის წევრს პირკულოვს და დაადასტურა, რომ სარევიზიო კომისიაში „თავიანთი“ ხალხი გაიყვანესო ვინც ჩლაიძეს არ მოსწონს, იმას რასაკვირველია „ჩვენად“ სთვლის, მაგრამ ეს კი მართალია, რომ ჩვენ პროვოკატორებს და გასაწმენდ პირებს არ მივცემდით ხმას. ეხლა პირკულოვი, რომლის განდევნას ჩლაიძემ აუწია ხელი, ჩლაიძისთვის საჭიროა და რა გასაკვირველია, რომ თავს ინანიებს მის წინაშე და იხსენიებს თავის წერილში.

დელეგატთა არჩევნების გადადებაც კი ჩხეიძის, ბადაშვილის და სვანიძის პროვოკაციად გამოაცხადა ჩლაიძემ. განა მან არ იცის, რომ არჩევნები გადაიდო იმ მოსაზრებით, რომ დელეგატებათ არ გასულიყვენ გასაწმენდი პირნი? განა არ იცის, რომ ეს საკითხი კომიტეტმა გადაიტანა დელეგატთა კრებაზე, რომელმაც ერთხმად დაადგინა არჩევნების გადადება წევრთა გაწმენდის გათავებამდე, რათა გასაწმენდი პირი არ ყოფილიყო არჩეული? განა მან არ იცის, რომ თვით სოციალურ უზრუნველყოფის კომისარმა დაადასტურა ეს კრების დადგენილება? ყველა ეს მან კარგად იცის, მაგრამ მისი მიზანი „პოზიციის“ დაგმობაა და ამის მისაღწევათ იგი არ ერიდება არავითარ საშუალებას.

რაც შეეხება მის პროვოკაციას ქართველ დელეგატთა შესახებ და აგრეთვე ჩხეიძის და ბადაშვილის მიერ ნათესავების შეყვანას კლუბში, ამ საკითხებზე თვით ქართველმა და კლუბის კომისიამ უკვე გასცა მას ჯეროვანი პასუხი „ტრიბუნის“ საშვალებით.

შემდეგ ჩლაიძე იგონებს მთავრობის ყოფილ წარმომადგენელს საზოგადოებაში ათაბეგოვს და ადასტურებს, რომ მისი შესყიდვა შეუძლებელი შეიქნა; ამიტომ პოზიციამ ომი გამოუცხადა და სასტიკად დაამარცხაო. იმედი მაქვს, ათაბეგოვი არ დამალავს და ახდილად აღიარებს სახალხოთ, თუ ვის ჰქონდა აზრათ მისი დაქირავება, მისი შესყიდვა.

დელეგატებმა ფული გაიღეს გაზეთებისათვის, მე რედაქტორათ ამირჩიეს და კომიტეტმა ფული არ მომცა გაზეთის გამოსაცემადაო—ამბობს ჩლაიძე, მაგრამ იმას კი არ უმჟღავნებს მკითხველს, რომ დელეგატთა კრებამ დაადგინა: „გადადებულ იყოს გაზეთის გამოსაცემათ თანხა, მხოლოდ გაზეთი გამოიცეს მაშინ, როდესაც კლუბი მოეწყობაო“. არც ამას ამბობს, რომ თვით უზრუნველყოფის კომისარმა ნაადრევათ სცნო გაზეთის გამოცემა. ჩლაიძეს სულით და გულით უნდოდა რედაქტორის სახელი, მაგრამ ვერ მიიღო; ეხლა იგონებს იმ გაცრუებულ იმედს და თავზედ ლახვრად ეცემა კომიტეტს. გიორგაძესაც კი ურევს საქმეში, ჩემთან მოსასყიდლათ მომიგზავნესო. იმედია ამის სიცრუეს გიორგაძე დაადასტურებს.

ჩლაიძე იგონებს მეორე ძველ წყლულს, რატომ 1-ლ მაისობას არ შემაქეს, რეკლამა არ გამიკეთესო... პირველ მაისობას, მუშათა სოლიდარობის დღესასწაულს, თურმე მიხა ჩოდრიშვილს და კომიტეტის წევრებს უნდა გაეცნოთ პროლეტარიატისთვის ვარლამ ჩლაიძე. უნდა ექოთ იგი, როგორც თვითმშრომელ ხელოსანთა საზოგადოების ბელადი, მისი „ოპოზიციის“ ლიდერი... და რა სხვამ არ მოიხსენია თვით ავიდა ტრიბუნაზე და გააცნო პროლეტარიატს თავისი თავი, როგორც ცხარე წარილების გამომცხობი.

ორიოდე სიტყვა ზურნის შესახებ. საზოგადოების წევრები ხშირად გადიან მანიფესტაციაზე და დემოსტრაციებზე, როდესაც საერთოდ მუშები გამოდიან; ტრადიციულათ წინ ხელოსნებს მიუძღვის ზურნა. რასაკვირველია ამ ზურნას ფული უნდა მიეცეს და ამ გასამჯელოში ფულის მიცემის დოკუმენტები კ-ტში იმყოფება, მაგრამ ჩლაიძეს ალბათ, ისიც ყელში გაეხირა, რომ ხელოსნები მუშებს სოლიდარობას უცხადებენ ხოლმე. ხელოსნებისთვის კი ჩლაიძე უვარგისად გამოდგა და რიყეზე გაბრძანდეს: იქნება კარგი ნიაღვარი მოვიდეს და ამღვრეულ წყლის ადიდებისას წაიღოს სამუდამოთ. მაგრამ მინამდე ეს წყალი მოვარდებოდეს საქმე გადამაქვს სასამართლოში და დეე, ამან განსაჯოს, ვინ არის მართალი და ვინ არის მტყუანი. განაჩენი სასამართლოსი რასაკვირველია გამოცხადდეს გაზეთებში,

თვითმშრომელ საურთიერთო დამხმარე საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე—

სილოვან ჩხეიძე.

19 ივლისი 1923 წ.

ქ. ტფილისი.

———

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ გაზ. „ტრიბუნაში“ მოათავსოთ შემდეგი.

ვინაიდან მაქვს სურვილი მემარ. სოც.-ფედ. პარტიაში მუშაობისა, დღეიდან უმოქმედობას ვსტოვებ და სრული შეგნებით მინდა ვემსახურო ხსენებულ პარტიის გამაგრების და განმტკიცების საქმეს.

ამასთანავე დავსძენ, რომ დღემდე არავითარ პოლიტიკურ პარტიაში არ ვირიცხებოდი.

ვ. მგალობლიშვილი.

———

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ყველა იმ პირთ ვინც კეთილ ინებეს და შემოწირულება გაიღეს გაზეთ ტრიბუნის გამოსაწერათ იდგ. საჯავახოს სამკითხველოსათვის გარდაც ამხ. ნესტორ ჯაშის ხსოვნის აღსანიშნავად.

სია შემომწირველთა:

იუსტინე ჯაშმა—200.000 მ. ოსიფო ბოლქვაძემ—200.000 მ. ივანე მსხილაძე—200.000 მ. დავით მალაზონიამ—100.000 მ. ალექ. გეგიძემ—200.000 მ. სიმონ თარგამაძემ—100.000 მ. ივანე ნიკოლაიშვილმა—100.000 მ. ბესარ. გირგოლიამ—200.000 მ. ვლად. ვაშაყმაძემ—200.000 მ. ზოსიმე თარგამაძემ—100.000 მ. ილია თარგამაძემ—200.000 მ. შ. ცხვარაძემ—100.000 მ. ერმალე გოგტოურმა—100.000 მ. ექვთ. კანდელაკმა—250.000 მ. მიხ. შანიძემ—200.000 მ. ისაკო ბოთურაშვილმა—100.000 მ. თედორე ჯამბერიამ—200.000 მ. ბიკტორ კვირკელიამ—300.000 მ. კარაპეტ სარქისოვი—100.000 მ. ალექ. ბოცვაძე—200.000 მ. ილიკო სხვიტარიამ—500.000 მ. გერმანე გაგუამ—200.000 მ. ვასილ სილაქონიძემ—100.000 მ. იესე ესოფეიშვილმა—200.000 მ. ესტატე ქორიძემ—100.000 მ. ეპიფ. ანტ. კანდელაკმა—200.000 მ. ხალამპრე გაგუამ—200.000 მ. კოლა შანიძემ—300.000 მ. ნოე შანიძემ—300.000 მ. სანდრო მსხილაძემ—500.000 მ. ვასილ ზაქარეიშვილმა—500.000 მ. პლ. თარგამაძემ—200.000 მ. თევდ. თარგამაძემ—200.000 მ. მიხ. გოგიტაძემ—100.000 მ. ვასილ შანიძემ—100.000 მ. ვლად. დიდიამ—200.000 მ. ამბ. კანდელაკმა—200.000 მ. თამარა კალოიანმა—200.000 მ. ამაღლობელი ქსენია—100.000 მ. გრიშა კანდელაკმა—100.000 მ. ნადია თარგამაძემ—150.000 მ. საჯავახოს მაზრისაგან—750.000 მ. ვლად. გეგიძემ—200.000 მ.

———

ს უ ლ — 8.650.000 მ.

ივ. ბოლქვაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 475 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტეინის ქუჩ. № 4.